განკარგულება:**გ-49. 49252395**
თარიღი:**27/08/2025**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 537 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი #29. 11. 35. 011) 10 (ათი) წლის ვადით, იჯარის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 20 აგვისტოს №48-4825232130 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 537 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი #29. 11. 35. 011) 10 (ათი) წლის ვადით, იჯარის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემის შესახებ.**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 537 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი #29. 11. 35. 011) 10 (ათი) წლის ვადით, იჯარის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემის შესახებ.**

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი